**ინფორმაცია გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თამარ ბერუჩაშვილის ორგანიზაციის „Naked Heart Foundation“ წარმომადგენლებთან შეხვედრის შესახებ**

2019 წლის მარტში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ბერუჩაშვილი შეხვდა ორგანიზაციის „Naked Heart Foundation“ პრეზიდენტს ანასტასია ზალოგინას. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ორგანიზაციის ფინანსური დირექტორი ლანა ყამარაული და საელჩოს უფროსი მრჩეველი ნელი შიოლაშვილი.

ორგანიზაცია „Naked Heart Foundation“ ქართულ მხარეს სთავაზობს 2019 წლის მესამე კვარტალში საქართველოში (სასურველია, თბილისში) კონფერენციის “თანამედროვე ეფექტური პროგრამები სპეციალური საჭიროებების მქონე პირების დასახმარებლად“ (Modern effective programmes for helping people with special needs). კონფერენციის მიზანი იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისა და ბავშვების მშობლების ინფორმირება თანამედროვე მიდგომების, პროგრამებისა და საუკეთესო გამოცდილების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან ორგანიზაცია „Naked Heart Foundation“ თბილისში თანამშრომლობს ქალთა ასოციაცია “Rhea”-სთან.

კონფერენციის მომზადებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის სხვა პერსპექტივების განხილვის მიზნით, საელჩო რეკომენდაციას უწევს „Naked Heart Foundation“-ის წარმომადგენლობითი დელეგაციის მიერ შეხვედრების გამართვას პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან და შესაბამის სამსახურ(ებ)თან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიაში.

ორგანიზაციის დელეგაცია საქართველოში კონფერენციის მოსამზადებელ ვიზიტს გეგმავს **2019 წლის 15-20 მაისს.** დელეგაციის წინასწარი შემადგენლობაა: ანასტასია ზალოგინა - პრეზიდენტი, ინა მონოვა - პროგრამის დირექტორი, ლანა ყამარაული - ფინანსური დირექტორი, სვიატოსლავ დოვბნი - ბავშვთა ნევროლოგი, ტატიანა მოროზოვა - ფსიქოლოგი.